განმარტებითი ბარათი

საქართველოს კანონის პროექტის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

მოქმედი კანონი, რომელიც აწესრიგებს ლიცენზიითა და ნებართვით რეგულირებულ სფეროს და განსაზღვრავს ლიცენზიისა და ნებართვის სახეების ჩამონათვალს, ადგენს ლიცენზიისა და ნებართვის გაცემის წესებს, თავის თავში მოიცავს ადგილობრივი საქალაქო რეგულარული სამგზავრო გადაყვანის ნებართვას, თუმცა არ ითვალისწინებს რეგულაციების დაწესებას მომსახურების სფეროს ისეთი მნიშვნელოვანი სეგმენტისთვის, როგორიცაა საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანა. შედეგად ნებისმიერი მსუბუქი ავტომობილის ტაქსად გამოყენება შესაძლებელია. ნებისმიერ მძღოლს, რომელსაც აქვს მართვის მოწმობა, შეუძლია მგზავრთა გადაყვანით დაკავდეს ყოველგვარი ნებართვის გარეშე, არ მოითხოვება რაიმე სახის სტანდარტების დაკმაყოფილება მძღოლის და მსუბუქი ავტომობილის მიერ, უკონტროლოდ იზრდება ტაქსების რაოდენობა საქართველოს დედაქალაქში, არ არის ცნობილი სატაქსო გადაზიდვებით დაკავებული ადამიანების და გამოყენებული მანქანების რაოდენობა, მგზავრთა გადაყვანის მიზნით გამოყენებული მსუბუქი ავტომობილების დიდი ნაწილი ტექნიკურად გაუმართავია (რაც პირდაპირ კავშირშია მგზავრის უსაფრთხო გადაადგილებასთან), არ არის დაცული სისუფთავე, მგზავრთა გადაყვანით დაკავებული მძღოლების ნაწილი არ ფლობს შესაბამის უნარ-ჩვევებს (ქუჩების/მისამართების ცოდნა).

ვინაიდან ათეულობით წლებია დაურეგულირებელია აღნიშნული სფერო და სფეროში არსებული მძიმე მდგომარეობის გათვალისწინებით, მიზანშეწონილია პირველ ეტაპზე მისი რეგულაცია წარმოდგენილი კანონპროექტის შესაბამისად შემოღებულ იქნას საქართველოს დედაქალაქში. კანონპროექტის ამოქმედების შემდეგ, დედაქალაქის თვითმმართველობას მოუწევს მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სფეროს რეგულირების სქემისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბება ადაპტაციის პერიოდის გათვალისწინებით და მგზავრთა გადაყვანით დაკავებული პირებისთვის სხვადასხვა შესაძლებლობების შეთავაზებით, რათა მძღოლების უნარებმა და მსუბუქი ავტომობილების მდგომარეობამ ადაპტაციის პერიოდის დასრულებამდე დააკმაყოფილონ დადგენილი სტანდარტები. ადაპტაციის პერიოდის დასრულების შემდგომ მიღებული სურათის და ბაზრის შესწავლის შემდგომ განისაზღვრება ნებართვების კონკრეტული რაოდენობა. რაც შეეხება ნებართვის გაცემის ფასს იგი ადაპტაციისა და შემდგომ პერიოდში იქნება ერთმანეთისგან განსხვავებული.

წარმოდგენილი ცვლილებებით ქალაქ თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან/და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თავისუფლდება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მიღების ვალდებულებისაგან. აღნიშნული ცვლილების მიზანია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებულმა იურიდიულმა პირმა, რომელიც პასუხისმგებელია ქალაქ თბილისის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიებისა და შადრევნების მოვლა-პატრონობაზე, შეძლოს მოვლა-პატრონობის ერთ-ერთი ღონისძიებისათვის - მორწყვისათვის - საჭირო წყლის მოპოვება და სარგებლობა მისთვის გადაცემულ ტერიტორიებზე არსებული მიწისქვეშა რესურსის გამოყენებით.

წარმოდგენილი ცვლილებების საჭიროება განპირობებულია რამდენიმე ფაქტორით: პირველ რიგში, მოქმედი კანონმდებლობით სარგებლობის ლიცენზიის მიღება საჭიროებს

აუქციონის ჩატარებას, რაც შესაძლოა შემაფერხებელი ფაქტორი იყოს გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე უფლებამოსილი იურიდიული პირისათვის რომ მან მიიღოს აღნიშნული ლიცენზია, რადგან აუქციონის გამართვა თავისთავად გულისხმობს სხვა პირთა შესაძლო მონაწილეობასაც. გარდა ამისა, თბილისის გამწვანებული ტერიტორიების ფარგლებში არსებული მიწისქვეშა წყლები იძლევა იმის საშუალებას, რომ ტერიტორიების მოვლა-პატრონობაზე უფლებამოსილმა იურიდიულმა პირმა ხარჯების ეფექტიანად დაზოგვის გზით შეძლოს ადგილობრივი რესურსით განახორციელოს გამწვანებულ ტერიტორიებზე არსებული ხე-მცენარეების მორწყვა. სხვა შემთხვევაში აუცილებელი იქნებოდა მორწყვისათვის საჭირო რაოდენობის წყლის კერძო კომპანიისაგან შესყიდვა, რაც საგრძნობლად გაზრდიდა მოვლა-პატრონობის ხარჯებს.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიზანია დედაქალაქის ტერიტორიაზე მოწესრიგებული, კონტროლირებადი და უსაფრთხო მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) მგზავრის მომსახურება. ასევე, თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული საჯარო სამართლის იურიდიული პირების ან/და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებების ხელშეწყობა თავიანთი ფუნქციების, კერძოდ ქალაქის ტერიტორიაზე არსებული გამწვანებული ტერიტორიების მოვლის (მორწყვის) ღონისძიებების განხორციელებაში.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

ცვლილება შედის კანონის „ლიცენზიებისა და ნებართვების შესახებ“ პირველი მუხლის 2^1 და 2^2 პუნქტებში, რაც ითვალისწინებს თბილისის თვითმმართველი ერთეულის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ან/და საჯარო სამართლის იურიდიული პირის ან/და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების გათავისუფლებას სასარგებლო წიაღისეულის (მიწისქვეშა მტკნარი წყლის) მოპოვების ლიცენზიის მიღების ვალდებულებისაგან.

ამავე კანონის 24-ე და 25-ე მუხლებში შეტანილი ცვლილებებით წესდება თბილისში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით გადაყვანის ნებართვა. ხოლო 24-ე და 25-ე მუხლებში შეტანილი ცვლილებებით და 26^5 მუხლის დამატებით დგინდება ამ ნებართვის გაცემის წესი და ნებართვის გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების წესი.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯები საჭიროების შემთხვევაში დაფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ დადგენილი წესით განსაზღვრული ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს მიერ. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, გამოყენებული იქნება დედაქალაქის თვითმმართველობის დღეს დასაქმებული პირები, შესაბამისად წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ადამიანურ რესურსს.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტის ამოქმედების შედეგად მოსალოდნელია დამატებითი შემოსავლები მიიღოს დედაქალაქის ბიუჯეტმა, ვინაიდან ხდება ახალი სახის ნებართვის შემოღება და ნებართვის მაძიებელი გადაიხდის ნებართვის გაცემის ფასს.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

საჭიროების შემთხვევაში ნებართვების გაცემასთან დაკავშირებული საჭირო ხარჯები დაფინანსდება ადგილობრივი თვითმმართველობების მიერ. რაც შეეხება ადამიანურ რესურსს, გამოყენებული იქნება დედაქალაქის თვითმმართველობის დღეს დასაქმებული პირები, შესაბამისად წარმოდგენილი კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს დამატებით ადამიანურ რესურსს.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ ვალდებულებებს.

ბ.ე) კანონპროექტის მოსალოდნელი ფინანსური შედეგები იმ პირთათვის, რომელთა მიმართაც ვრცელდება კანონპროექტის მოქმედება:

აღნიშნული რეგულაცია უზრუნველყოფს სტაბილურ ფინანსურ შემოსავალს, იმ პირებისთვის, რომლებიც იქნებიან დასაქმებულები ამ სფეროში. აღნიშნული პირობების შემოღება და დადგენა გავლენას იქონიებს შესაბამის პირებზე, ვისაც აქვს სურვილი მიიღოს აღნიშნული ნებართვა, ვინაიდან მათ მოუწევთ დადგენილი სანებართვო პირობების შესრულება, რაც თავის მხრივ დაკავშირებული იქნება მათთვის ფინანსურ შედეგებთან.

ბ.ვ) კანონპროექტით დადგენილი გადასახადის, მოსაკრებლის ან სხვა სახის გადასახდელის ოდენობის განსაზღვრის წესი (პრინციპი):

კანონპროექტის მიღებით ხდება ნებართვის ახალი სახის - საქართველოს დედაქალაქში მსუბუქი ავტომობილით-ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის განსაზღვრა.

გ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო სამართლებრივ სტანდარტებთან:

გ.ა) კანონპროექტის მიმართება ევროკავშირის დირექტივებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება ევროკავშირის დირექტივებს.

გ.ბ) კანონპროექტის მიმართება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საერთაშორისო ორგანიზაციებში საქართველოს წევრობასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს.

გ.გ) კანონპროექტის მიმართება საქართველოს ორმხრივ და მრავალმხრივ ხელშეკრულებებთან და შეთანხმებებთან:

კანონპროექტი არ ეწინააღმდეგება საქართველოს მიერ ორმხრივი და მრავალმხრივი ხელშეკრულებებით და შეთანხმებებით ნაკისრ ვალდებულებებს.

დ) კანონპროექტის მომზადების პროცესში მიღებული კონსულტაციები:

დ.ა) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე სახელმწიფო, არასახელმწიფო ან/და საერთაშორისო ორგანიზაცია (დაწესებულება), ექსპერტი, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

კანონპროექტი შემუშავებაში მონაწილეობა მიიღო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ, საქართველოს ფინანსთა სამინიტრომ, შპს „მოტტ მაკდონალდმა“ (რეგისტრირებული ინგლისში, რეგისტრაციის ნომერი:1243967,

რეგისტრაციის მისამართ; მოტტ მაკდონალდ ჰაუსი, 8-10 სიდენჰამ როუდი, კრიდონ, სურეი, სრ0 2ეე, ინგლისი).

დ.ბ) კანონპროექტის შემუშავებაში მონაწილე ორგანიზაციის (დაწესებულების) ან/და ექსპერტის შეფასება კანონპროექტის მიმართ, ასეთის არსებობის შემთხვევაში:

ასეთი არ არსებობს.

ე) კანონპროექტის ავტორები:

საქართველოს პარლამენტის წევრები კახაბერ კუჭავა და ნინო წილოსანი

ვ) კანონპროექტის ინიციატორები:

საქართველოს პარლამენტის წევრები კახაბერ კუჭავა და ნინო წილოსანი